ევროპის ჩემპიონატი საქართველოს ღია პირველობად გაიხადეს!

8 „ოქრო“. 1 „ბრინჯაო“ — ტრიუმფი სწორედ ამას ჰქვია!

ჩვენს მკლავჭიდელებს, ვინ არ იცის, უკვე ბევრი დაეკვეხნებათ, მაგრამ ის, რაც ლონდონში, ევროპის 1993 წლის ჩემპიონატზე მოხდა...

ცოტაც კია იმის თქმა — თავიც ისახელეს — სამშობლოც ღირსეულად წარმოაჩინესო. საქართველოს ნაკრების წევრებმა ევროპის ჩემპიონატი ლამის შინაურ ასპარეზობად, საქართველოს ღია პირველობად გაიხადეს! ჩვენც განვსაჯოთ და სხვებმაც: 12 წონითი კატეგორიიდან რვაში (!) უძლიერესები ქართველი ათლეტები იყვნენ, ერთ წონაში კი „მხოლოდ“ „ბრინჯაო“ ირგუნეს.

აი, ისინიც, ევროპაში ყველაზე მკლავღონიერნი: ლერი ხალღიანი (70 კგ, მესტია), გელა ბეწუაშვილი (75), ჯიმი მერაბიშვილი (80, ორივე — თბილისი), კობა თოდაძე (85, საჩხერე), ერეკლე გურჩიანი (90, მესტია), ზაზა გუგენიშვილი (100), დავით ჭელიძე (110, ორივე — თბილისი), ზაურ ცხადაძე (+110, ზესტაფონი). ბრინჯაოს მედალი მოიპოვა თიანეთელმა მინდია ფეტვიაშვილმა (65 კგ).

რაღა საკითხავია ჩვენი ნაკრების (უფროსი მწვრთნელი — რესპუბლიკის მკლავჭიდის ფედერაციის პრეზიდენტი ვახტანგ მუხელიანი) გუნდური ადგილი — რაღა თქმა უნდა, პირველი!

◆ ◆ ◆

ლელო

7 აპრილი. ოთხშაბათი, 1993 წ.
№ 25 (10 813) ● ფასი 5 მან

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

გინდა ჩხუბი? დადე ფული!

იხ. მე-4 გვ.

სიე ჟუნი— იოსელიანი: ნოემბერს, მონაკოში...

ჭადრაკში ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონის, ჩინელ სიე ჟუნისა და პრეტენდენტთა ფინალურ ტურნირში გამარჯვებული თბილისელი დიდოსტატის ნანა იოსელიანის მატჩი მსოფლიო ჩემპიონის წოდებისთვის წლეულს, ნოემბერში გაიმართება მონაკოში — ასეთი დადგენილება მიიღო ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციამ, რომელმაც მხარეებთან შეთანხმებით ბრძოლის რეგლამენტიც განსაზღვრა.

ცნობილი გახდა ისიც, რომ მატჩის საპრიზო ფონდი შეადგენს 300 ათას შვეიცარიულ ფრანკს.

როგორც ჭადრაკის რესპუბლიკური ფედერაციიდან გვაცნობეს, ნოემბრამდე იოსელიანი გამოცდილი სპეციალისტების დახმარებით რამდენიმე საწვრთნელ შეკრებას ჩაატარებს და საერთაშორისო ტურნირებშიც იასპარეზებს.

მილოცვა

ქართული ჭიდაობის რესპუბლიკური ფედერაცია დაბადების 50 წლისთავს ულოცავს საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, ქართული ჭიდაობის რესპუბლიკური ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს **იური იმერლიშვილს.**

შუა ზაფხულს, ბუფალოში...

თბილისის სპორტულ ბაზებზე დაიწყო რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტ-სპორტსმენთა თამაშები „უნივერსიადა-93“, რომლის პროგრამაშია 16 სახეობა. შეჯიბრებები ეტაპობრივად 31 მაისამდე გაგრძელდება და გამოავლენს იმ საუკეთესო გუნდებსა და სპორტსმენებს, რომლებიც შერჩევით მსოფლიო უნივერსიადაზე (8-19 ივლისი, ქ. ბუფალო, აშშ), იასპარეზებენ. რესპუბლიკურ უნივერსიადაში (ყველა შეჯიბრებას თბილისი უმასპინძლებს) პირველნი ჩაებნენ მოფარიკავეები. ისინი შედეგებს შეაჯამებენ პარასკევს, მერე კი მოჭადრაკეების ჯერი დადგება. თამაშების პროგრამაშია, აგრეთვე, ფრენბურთი, კალათბურთი, ხელბურთი, ჩოგბურთი, წყალბურთი, მძლეოსნობა, ცურვა და სხვა სახეობანი.

ორი უკანასკნელი...

კიდევ რამდენიმე დღე და გაირკვევა ვინაობა საქართველოს ყველა იმ მოჭადრაკისა, რომლებიც სამიოდე თვის მერე ჩაებმებიან სხვადასხვა ასაკის მოთამაშეთა მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში. თბილისის ჭადრაკის სასახლეში ამჟამად მიმდინარე ასპარეზობებმა კიდევ სამი მათგანი უნდა დაასახელოს — 18 წლამდე ქალებში მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტი და 20-წლამდე ვაჟების მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატების მონაწილენი (სხვა ოთხ ასაკობრივ კატეგორიაში პრეტენდენტები ადრე გამოვლინდნენ).

ქალების ფინალური ტურნირის ოთხი მონაწილე ურთიერთობას არკვევს ასპარეზობაში, რომელიც ორ წრედ მიმდინარეობს. პირველ დღეს ბათუმელმა ფიდეს ოსტატმა დიანა დარჩიამ შავებით დაამარცხა თბილისელი ოსტატობის კანდიდატი ნატო ეძგვერაძე, თბილისელი ოსტატობის კანდიდატების ინგა ხურცილავასა და მირანდა ხორავას შეხვედრაში გაიმარჯვა ხურცილავამ. მეორე ტურის პარტიები ასე დასრულდა: ხორავა — დარჩია 1:0, ხურცილავა — ეძგვერაძე — ყაიმი. **მესამე ტური.** დარჩია — ხურცილავა — ყაიმი. ეძგვერაძე — ხორავა 1:0. ამით დასრულდა ასპარეზობის I ნახევარი, რომელმაც დააწინაურა ხურცილავა, მას 2 ქულა აქვს და ნახევარი ქულით უსწრებს დარჩიასა და ეძგვერაძეს.

20 წლამდე ვაჟებმაც კიდევ სამი ტური გაითამაშეს. წაგების სიმწარე საგზურების ყველა, თორმეტმა მაძიებელმა იწვნია. შუა ასპარეზობის (ექვსი ტურის) მერე 4,5-4,5 ქულით წინ იყვნენ რუსთაველი ზურაბ იგრიაშვილი და თბილისელი მიხეილ კეკელიძე. მათ ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩებოდნენ თბილისელი გიორგი ყაჭეიშვილი და ქუთაისელი ალექსანდრე ყაშაშვილი. აი, ტექნიკური შედეგები: **V ტური.** შოთა კუჭუხიძე (ქუთაისი) — სერგო მოვსესიანი (თბილისი) — ყაიმი, ყაჭეიშვილი — დავით უთმელიძე (თბილისი) —1:0, კეკელიძე — რომან ციჰინავა (სენაკი) 1:0, თამაზ გელაშვილი (რუსთავი) — ყაშაშვილი 0:1, ალექსანდრე არსენიძე (ქუთაისი) — იგრიაშვილი 0:1, გიორგი ბახტაძე — დავით ხოსრუაშვილი (ორივე — თბილისი) — ყაიმი. **VI ტური.** მოვსესიანი — ხოსრუაშვილი — ყაიმი, იგრიაშვილი — ბახტაძე 1:0, ყაშაშვილი — არსენიძე 1:0, სიჰინავა — გელაშვილი 1:0, უთმელიძე — კეკელიძე 0:1. კუჭუხიძე — ყაჭეიშვილი 1:0.

მოსალოდნელი იყო, რომ VII ტური (მისი შედეგები ასეთია: ყაჭეიშვილი — მოვსესიანი 1:0, კეკელიძე — კუჭუხიძე— ყაიმი, გელაშვილი — უთმელიძე 1:0. არსენიძე — სიჰინავა 0:1, ბახტაძე — ყაშაშვილი — ყაიმი, ხოსრუაშვილი — იგრიაშვილი 0:1) ლიდერთა განლაგებაში მეტ სიცხადეს შეიტანდა. ასეც მოხდა — ერთპიროვნულად დაწინაურდა იგრიაშვილი, თუმცა იგი მხოლოდ **0,5** ქულით უსწრებს უახლოეს მდევრებს კეკელიძესა და ყაჭეიშვილს.

სადაც ხელოვნებამდე ამაღლებული ოსტატობაა, იქ აღტაცებაცაა, მედლებიც, მიპატიჟებაც...

ეკა აბრამია, ეკატერინა პევკინა, თამარ რეხვიაშვილი — სამი თბილისელი გოგონა, სამი ოსტატობის კანდიდატი მხატვრულ ტანვარჯიშში, სამივე ერთი ასაკისა — 13 წლის.

ორიოდე დღის წინ დაბრუნდნენ თბილისში ბელგიის ქალაქ ლუვენდენიოვის დიდი საერთაშორისო ტურნირიდან. რედაქციაში გვეწვივნენ თავიანთ მწვრთნელებთან — მსოფლიო ექსჩემპიონთან, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატ ირინე გაბაშვილთან და საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელ მანანა ცაბაძესთან ერთად.

სიხარულს ვერ მალავდნენ: მსოფლიოს უძლიერეს იუნიორებთან ასპარეზობაში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს. მრავალჭიდში პირველობა ეკა აბრამიამ მოიპოვა — 35,3 ქულა. ეკატერინა პევკინა მეორე იყო — 35,1, თამარ რეხვიაშვილმა მეოთხე შედეგი აჩვენა ანა ლაზიკთან (სლოვენია) ერთად — 34,9. მესამე ადგილი წილად ხვდა ილენა შალამოვას (რუსეთი) — 35,0.

გარდა ამისა, ცალკეულ სახეობებში ე. აბრამიამ სამჯერ გაიმარჯვა სახტუნელათი, გურზებით და ბაფთით. თ. რეხვიაშვილი მეორე იყო სახტუნელათი ვარჯიშში, ხოლო ე. პევკინამ სამ სახეობაში გაიყო მეორე-მესამე ადგილები.

სურათზე: (მარცხნიდან) ეკა აბრამია, თამარ რეხვიაშვილი, ეკატერინა პევკინა.
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

— ჩვენი გოგოები მაისში რუმინეთში გამოვლენ ევროპის იუნიორთა პირველობაზე. — გვეუბნება ი. გაბაშვილი. — თუ აბრამია მარტო ბელგიაში ბარე ექვსჯერ იყო, პევკინამ და რეხვიაშვილმა საერთოდ პირველად იასპარეზეს საზღვარგარეთ. სპეციალისტებმა მაღალი შეფასება მისცეს სამივეს, აღნიშნეს ისიც, რომ მათ ერთმანეთისგან განსხვავებული სტილი და ხელწერა აქვთ. მალე ისინი, ალბათ, ტოლს არ დაუდებენ რუსეთის, უკრაინის, ბელარუსის და სხვა ქვეყნების უძლიერეს ტანმოვარჯიშეებს. დასანანია მხოლოდ, რომ ცნობილი ვითარების გამო საქართველოში დღეს არ ტარდება დიდი ტურნირები. თავის მხრივ, თითქმის ყველა მონაწილე ქვეყანამ მიიპატიჟა ჩვენი გოგოები ერთობლივ წვრთნასა და შეჯიბრებებზე. ვსარგებლობ შემთხვევით და დიდ მადლობას ვუხდი საქართველოს სპორტკომიტეტსა და საქართველო-ჰოლანდიის ერთობლივ ფირმა „პენტას“ და მის გენერალურ დირექტორს ზურაბ დიხამიძეს, რომლებმაც დააფინანსეს ჩვენი საზღვარგარეთული ვოიაჟი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტმა მიიღო კანონი საბიუჯეტო სისტემისა და უფლებების შესახებ

გთავაზობთ რამდენიმე ამონაწერს:

მუხლი 31. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავალი გამოიყენება ისეთი ღონისძიებების დასაფინანსებლად, როგორიცაა:

ინვესტიციები და სუბსიდიები, მეცნიერება, განათლება, კულტურა, ჯანმრთელობის დაცვა, სპორტი...

მუხლი 45. ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტების შემოსავალი გამოიყენება:

1. ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური დაქვემდებარების განათლების, მეცნიერების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, სპორტის... სხვა ხარჯების დასაფინანსებლად,

მუხლი 58. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შემოსავალი გამოიყენება:

— ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების დაქვემდებარების განათლების, მეცნიერების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, სპორტის... სხვა ხარჯების დასაფინანსებლად.

საჭადრაკო ფენომენი—რობერტ ფიშერი

ფიშერი პრეტენდენტების წინაალმდეგ

გადავხედოთ ფიშერის შედეგებს იმ დიდოსტატებთან, რომლებიც სხვადასხვა დროს პრეტენდენტთა ტურნირებში მონაწილეობდნენ.

პოლ კერესი, როგორც ეს აღნიშნულია საჭადრაკო ლიტერატურაში, ნიჭით არც ერთ მსოფლიო ჩემპიონს არ ჩამოუვარდებოდა. იგი მრავალგზის მონაწილეობდა პრეტენდენტების შეჯიბრებაში და „მუდმივად მეორის" სახელიც დაიმსახურა. მაინც რა აკლდა კერესს, რატომ ვერ მოიპოვა მსოფლიოში უძლიერესის წოდება? აკლდა სპორტული იღბალი და, ეტყობა, არც ისეთი ნებისყოფა ჰქონდა, როგორიც მის „ისტორიულ მოწინააღმდეგეს" ბოტვინიკს. კერესი დიდ პატივს სცემდა ფიშერს, როგორც მოჭადრაკეს. მათ შორის სხვადასხვა დროს 10 პარტია გათამაშდა. მცირე უპირატესობა ფიშერის მხარეზეა — მოიგო 4 პარტია, წააგო 3 და ამდენივე ყაიმით დამთავრდა.

სემუელ რეშევსკის, ამერიკული ჭადრაკის ლეგენდას, ფიშერთან თითქმის ყოველთვის კეთილი ურთიერთობა ჰქონდა. მან თავიდანვე აღიარა ფიშერის გენიალობა. რეშევსკის (1911-1992), რა თქმა უნდა, უჭირდა მასზე გაცილებით ახალგაზრდა მეტოქესთან თამაში, თუმცა მათ პირად მატჩში (ნიუ-იორკი, 1961 წლის ივლის-აგვისტო) თანაბარი ანგარიში იყო. საბოლოოდ, ფიშერს ამ ორთაბრძოლაში წაგება ჩაეთვალა, რადგან ორგანიზატორებთან კონფლიქტი მოუვიდა. ფიშერი და რეშევსკი სულ 23-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. ფიშერმა მოიგო 7 პარტია, წააგო 4 და 12 პარტია ყაიმით დასრულდა.

ახალგაზრდა ამერიკელი დიდხანს ცვალებადი წარმატებით თამაშობდა განთქმულ დანიელ დიდოსტატ ბენტ ლარსენის წინააღმდეგ. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1971 წელს მათი მატჩის წინ ფიშერი მხოლოდ ერთი ქულით დაწინაურდა. ერთხანს ლარსენი ჭაბუკი ფიშერის მწვრთნელის ფუნქციებსაც ასრულებდა. 1970 წელს ფიშერმა ნებაყოფლობით დაუთმო დანიელს პირველი დაფა მსოფლიოს ნაკრებში. მან ჩათვალა, რომ ლარსენის პრეტენზიებს — სათავეში ჩადგომოდა მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკეებს, საკმაო საფუძველი ჰქონდა. მათი მატჩი 1971 წელს პრეტენდენტთა დონეზე პირდაპირ გაუგონარი შედეგით დამთავრდა — 6:0 ფიშერის სასარგებლოდ. ამის შემდეგ ლაპარაკი ლარსენზე, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს მოჭადრაკეზე, მისი შემდგომი ცალკეული წარმატებების მიუხედავად, ცხადია, უკვე აღარ შეიძლებოდა. მათ შო-



სემუელ რეშევსკი — ბობი ფიშერი

ნა. გვ-4 33

ითამაშეთ ოლიმპიური ლატარია და თუ ვერ მოიგეთ, წაგებული არ დარჩებით!

ოლიმპიური ლატარიის ტირაჟში თამაშდება ხუთი მთავარი ფულადი მოგება ერთიდან ათ მილიონ მანეთამდე!

გათამაშებას პირდაპირი ეთერით გადასცემს საქართველოს ტელევიზია.

თქვენ გაქვთ შანსი, მოიგოთ:

10 000 000 მანეთი!
ან 5 000 000 მანეთი!
ან 3 000 000 მანეთი!
ან 2 000 000 მანეთი!
ან 1 000 000 მანეთი!

მაგრამ ხომ ხდება ყველაზე უფრო გულდასაწყვეტი რამ: თქვენი ბილეთის ნომერი სულ ერთი ციფრით ასცდა მოგებაზედ ნომერს. გულს ნუ გაიტეხთ — ლატარიის ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს ნებისმიერი ერთი ციფრის აცდენის შემთხვევაში სანუგეშო მოგებები გასცენ მოსაგების თანხის ერთი პროცენტის ოდენობით; ხოლო 10 მილიონის ერთი პროცენტი 100 000 მანეთია! არც მილიონის ერთი პროცენტია ცოტა — 10 000! ოლიმპიური ლატარიის ბილეთის ფასი კი სულ 1000 მანეთია.

გათამაშებაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მსურველს, ვინც შეიძენს და ზუსტად დაიცავს ბილეთის სწორად შევსებისა და ჩაბარების პირობებს.

ლატარიის ბილეთის „ა" ნაწილზე ბილეთის მფლობელმა გარკვევით უნდა ჩაწეროს თავისი გვარი, სახელი და მამის სახელი, აგრეთვე პასპორტის სერია და ნომერი. ბილეთის ეს ნაწილი უნდა ჩაბარდეს იმ საფოსტო განყოფილებას, სადაც შეძენილია იგი, ხოლო „ბ" ნაწილი რჩება მყიდველს ტირაჟის შესამოწმებლად და მოგების მისაღებ საბუთად მოგების შემთხვევაში.

ბილეთის ყიდვისა და მოგების გაცემის დროს აუცილებელია პასპორტის წარდგენა.

ბილეთები გაიყიდება მხოლოდ საქალაქო და რაიონულ ცენტრალურ საფოსტო განყოფილებებში.

ოლიმპიური ლატარიის ბილეთების რაოდენობა შეზღუდულია.

იჩქარეთ!

ოლიმპიური ლატარიის გათამაშებამდე მცირე დრო დარჩა!

პირველი ტირაჟის გათამაშება პირდაპირი სატელევიზიო ეთერით გადაიცემა 1993 წლის 16 მაისს.

თქვენ გაქვთ შანსი, გახდეთ მილიონერი!

ალბათ გახსოვთ ის ანეკდოტი, მავანი ღმერთს რომ ეხვეწებოდა ყოველ დილა-საღამოს, ღმერთო, მილიონი მომაგებინე, ღმერთო, მილიონი მომაგებინეო! ისიც გემახსოვრებათ, ბოლოს გაბეზრებულმა ღმერთმა მთხოვნელს რომ ჩამოსძახა, შე კაი კაცო, მომაგებინე-მომაგებინეს რომ გაიძახი, ერთი ლატარიის ბილეთი მაინც იყიდეო!

აბა, მეტი რაღა გითხრათ?!

დანარჩენი თქვენ თავად უწყით.

მოგების შანსი თქვენსავე ხელთაა!

ბილეთების შეძენა შეიძლება გადარიცხვითაც. მისამართი, თბილისი, დ. აღმაშენებლის 65. ტელ: 95-36-87.

ახალი დამოკიდებულება სიკვდილთან

როგორც მოსალოდნელი იყო, სიკვდილის მდგომარეობამ ღრმა გავლენა მოახდინა მის გადამტან ადამიანების ფიზიკურ სიკვდილთან დამოკიდებულებაზე. გავლენა განსაკუთრებით დიდი იყო მათზე, ვინც ფიქრობდა, რომ სიკვდილის შემდეგ ყველაფერი მთავრდება. ისინი ამა თუ იმ ფორმით გამოთქვამენ აზრს, რომ აღარ ეშინიათ სიკვდილის. მაგრამ არც ერთი ჩემი პაციენტი (ამბობს რაიმონდ მოუდი) არ ეძებს სიკვდილს, არ სურს იგი. ყველანი გრძნობენ, რომ ფიზიკურ ცხოვრებაში მათ აქვთ გარკვეული მიზნები [illegible] [illegible], [illegible]ქებიან ერთი პაციენტის აზ[illegible] [illegible]ულმაც მითხრა: მე ძალ[illegible] ბევრი მაქვს გასაკეთებელი ამ [illegible]ყარებაში მანამ, ვიდრე აქედან წავიდოდეო.

ყველანი უარყოფენ თვითმკვლელობას როგორც საშუალებას „სიკვდილის" დროის რეალობაში დასაბრუნებლად, უბრალოდ, მოხდა ისე, რომ ახლა მათ სიკვდილი აღარ წარმოუდგენიათ საზარელ და საშიშ მდგომარეობად.

მოდით თვალი გადავავლოთ რამდენიმე ამონაწერს, რომლებშიც ახსნილია სიკვდილთან ასეთი დამოკიდებულება:

„მე მიმაჩნია, რომ სიკვდილის ფენომენმა რაღაც განსაზღვრა ჩემს ცხოვრებაში. იმ დროს 10 წლის ბავშვი ვიყავი, მაგრამ მთელი ცხოვრების მანძილზე შევინარჩუნე აბსოლუტური რწმენა იმისა, რომ არის ცხოვრება სიკვდილის შემდეგ. არ მეშინია სიკვდილის, ჩემს ნაცნობებს კი ძალიან ეშინიათ, დამფრთხალნი არიან. ყოველთვის მეღიმება, როდესაც ვხედავ ხალხს, რომელთაც ეჭვი ეპარებათ სიკვდილის შემდეგ ცხოვრების არსებობაში, მე ვეუბნები მათ — როდესაც მოკვდებით, ნახავთ". ჩემთვის კი უფრო — „მათ მართლაც, არა ეცვიან რა მის შესახებ". ჩემს ცხოვრებაში ბევრი რამ გადამხდა თავს. ერთხელ საფეთქელზე მიდებული რევოლვერითაც კი მაშინებდნენ, არ შემშინებია, გავიფიქრე: „ნუ, რას იზამ, თუ მართლა მოვკვდები ანუ მომკლავენ, ვიცი, რომ სულერთია, ვიცხოვრებ, სხვაგან, სადღაც. უკანასკნელი, რაც მითხრა ნათელმა არსებამ, ვიდრე ჩემს სხეულში დავბრუნდებოდი, იყო, რომ ახლა ისევ დავბრუნდები უკან, ვიცოცხლებ, მაგრამ დადგება დრო, როდესაც ჩვენ ისევ შევხვდებით ერთმანეთს. აი მაშინ კი ნამდვილად მოვკვდები". „ასე რომ, ვიცი ისევ შევხვდები ნათელ არსებას და იმ ხმას. მაგრამ არ ვიცი, როდის იქნება ეს. მაგრამ იქნება მსგავსი იმისა, რაც უკვე გადავიტანე ან უკეთესიც. რადგან უკვე ვიცნობ იქაურობას, არ ვიქნები შემცბარი, როგორც პირველად. ისე კი, არა მგონია ეს მოხდეს უახლოეს ხანში, რადგან ჯერ კიდევ ბევრი სიკეთე მინდა გავაკეთო აქ, ამ ქვეყანაზე".

როგორც ზემოთ მოტანილი მაგალითიდან ჩანს, ძირითადი მიზეზი, რის გამოც სიკვდილი კარგავს თავის შესაშინებელ გარეგნობას, მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანმა გადაიტანა მისი მსგავსი რამ. მას აღარ ეპარება ეჭვი, რომ სიცოცხლე არ წყდება სხეულის სიკვდილთან ერთად. მითუმეტეს, ასეთი ადამიანისათვის ეს უკვე აბსტრაქტული შესაძლებლობა კი არა და საკუთარი სიცოცხლის გამოცდილებაა.

მოდით გავიხსენოთ „ანნიჰილიზაციის" კონცეფცია, რომელსაც ამ შრომის დასაწყისში განვიხილავდით. ამ კონცეფციის თანახმად სიკვდილი „მიძინებას" ან „მივიწყებას" გვაგონებს. ხალხი, რომელთაც გადაიტანეს კლინიკური სიკვდილი, გადაჭრით უარყოფენ ამ შედარებას. ისინი თავიანთ ანალოგებს გვთავაზობენ, რომლის თანახმად სიკვდილი ყოფის ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლაა, გონების ასვლა ყოფის უფრო მაღალ დონეზე. ერთი ქალი, რომელმაც „სიკვდილის" დროს მის შესახვედრად გამოსული თავისი ნათესაობა ნახა, სიკვდილს ადარებს „ოჯახში დაბრუნებას". სხვები სიკვდილს ადარებენ გამოღვიძებას, სკოლის დამთავრებას... ხშირად გაურბივართ ხოლმე სიტყვა „სიკვდილის" ხსენებას, რადგან მთელი არსებით ვისწრაფით მისგან, მაგრამ თქვენც რომ გადაგეტანოთ ის, რაც მე გადავიტანე, გეცოდინებოდათ, რომ არ არის სიკვდილზე შესანიშნავი. თქვენ მხოლოდ გადადიხართ არსობის ერთი მდგომარეობიდან მეორეში, როგორც სკოლიდან კოლეჯში".

იოგას ფილოსოფია

ის ადამიანებიც კი, რომლებიც სიკვდილის შემდგომ არსებობის ბუნებაზე ამა თუ იმ ტრადიციულ შეხედულებებს მისდევდნენ სიკვდილთან შეხების შემდეგ, სხვაგვარად უდგებიან საკითხს. ვერ შევხვდებით ადამიანს, რომელიც აღწერდეს სიკვდილის შემდეგ ყოფას გავრცელებული მითოლოგიური სურათებით.

—ჩემს პაციენტთაგან — აღნიშნავს რ. მოუდი —არც ერთის არ უხსენებია, ზეცა, მარგალიტის თვლებით მორთული კარი, ოქროს ფილებით მოკირწყლული ქუჩები, ფრთებიანი ანგელოსები, რომლებიც ქნარზე უკრავდნენ, ასევე არაფერი თქმულა ჯოჯოხეთის ალზე და ფიწალიან ეშმაკზე.

ასე რომ, უმრავლეს შემთხვევაში სიკვდილის შემდგომი ჯილდო სასჯელის მოდელი ან საერთოდ არ იყო აღწერილი ან უარყოფილ იყო მათ მიერაც კი, რომლებიც ამ გაგების ჩარჩოებში აზროვნებდნენ, როდესაც დემონსტრირებული იყო მათი უდავოდ საშინელი და ცოდვილი მოქმედებანი. ისინი არ გრძნობდნენ მანათობელი არსების მხრივ წყრომას, გრძნობდნენ მხოლოდ გაგებას და კეთილგანწყობას.

შეკითხვაზე, შეგხვედრიათ ინტერვიუება იმ პიროვნებისა, ვინც სიკვდილის ფენომენი გადაიტანა თვითმკვლელობის ცდის დროს? თუ შეგხვედრიათ, განსხვავდებოდა მისი შეგრძნებები რითიმე? რ. მოუდი პასუხობს: დიახ, ვიცი რამდენიმე შემთხვევა, როდესაც თვითმკვლელობის ცდას თან ახლდა „სიკვდილი". ასეთი ხასიათის სიკვდილს ახასიათებენ როგორც ძალზედ მტკივნეულს.

ერთმა ქალმა აღნიშნა: „თუ თქვენ ტოვებთ ამ ქვეყანას ტანჯული სულით, გახსოვდეთ, თქვენი სული იქაც დაიტანჯება". მოკლედ, ეს ადამიანები ამოწმებენ იმას, რომ პრობლემა, რომლის გადაწყვეტას ორი თვითმკვლელობით ცდილობდა, რჩება სიკვდილის შემდეგაც. მხოლოდ მას ემატება ახალი სიძნელეები: სხეულის გარეთ ყოფნის პირობებში მათ არაფრის გაკეთება აღარ შეუძლიათ, შემაწუხებელი პრობლემა კი რჩება და ამას ემატება მათ მიერ ნამოქმედარის ტრაგიკული შედეგები. ერთი მამაკაცი ისე იყო დათრგუნული მეუღლის გარდაცვალებით, რომ თავი მოიკლა. „მოკვდა," მაგრამ შემდეგ გამოაცოცხლეს. იგი ყვება: „მე არ მოვხვდი იქ, სადაც ჩემი მეუღლე იმყოფებოდა, მოვხვდი საშინელ ადგილას... იმწამსვე მივხვდი როგორი შეცდომა ჩავიდინე... ვიფიქრე, ნეტავ ეს არ გამეკეთებინა".

სხვები, რომელთაც გამოსცადეს ეს არასასიამოვნო მდგომარეობა, ამბობდნენ, რომ ისეთი გრძნობა ჰქონდათ, თითქოს განწირულები იყვნენ ხანგრძლივად ამ პირობებში საცხოვრებლად. ყოველივე ამას ღებულობდნენ როგორც სასჯელს „წესრიგის დარღვევისათვის", რაც გამოიხატა სიცოცხლიდან დროზე ადრე განთავისუფლების ცდაში, გარკვეული „დავალების" შესრულების თავის არიდებაში.

ასეთი ხასიათის შენიშვნები კარგად ეთანხმება ზოგიერთ სხვა ნათქვამსაც, რომელთაც „სიკვდილი" სხვა გარემოში გადაიტანეს. ისინი აღნიშნავდნენ, რომ თვითმკვლელობა დიდი უბედურებაა, რომელსაც თან ახლავს მკაცრი სასჯელი. ერთი მამაკაცი, რომელმაც სიკვდილის ფენომენი უბედური შემთხვევის დროს გადაიტანა, მეუბნებოდა: სანამ იქ ვიყავი... აშკარად ვგრძნობდი, ორი რამ სრულიად აკრძალულია ჩემთვის, ეს გახლავთ თავის და ვისიმე მოკვლა... თუ თავს მოვიკლავ, ეს ნიშნავს, რომ ღმერთს თავისი საჩუქარი სახეში ვესროლო... მოვკლავ სხვას, ნიშნავს, ხელი შევუშალო ღმერთს იმ ადამიანის მიმართ თავისი ჩანაფიქრის განხორციელებაში".

მსგავს გრძნობებს, რომლებზედაც ლაპარაკია ბევრ ნაამბობში, შეიცავს უმრავლესი ძველთაძველი ღვთისმეტყველების ლიტერატურული წყაროების მორალური არგუმენტაციები თვითმკვლელობის წინააღმდეგ. ასეთი არგუმენტები ამა თუ იმ ფორმით შეიძლება ვნახოთ სხვადასხვა მწერლების: წმ. თომა აქვინელის, ლოკის ანდა კანტის ნაწარმოებებში. კანტის აზრით, თვითმკვლელობა არის ღმერთის მიზნების საწინააღმდეგო მოქმედება, იგი არის ჯანყი შენი შემქმნელის წინააღმდეგ. წმ. თომა აქვინელი გამოთქვამს რწმენას, რომ სიცოცხლე არის ღმერთის წყალობა და მისი წართმევა არის ნება ღმერთისა და არა კაცისა.

ამ დისკუსიაში არ დამისახავს მიზნად თვითმკვლელობის მორალური გაკიცხვა. მხოლოდ გაგიზიარეთ ის, რაც ამის შემდეგ მითხრა ხალხმა, რომელმაც გადაიტანა სიკვდილის ფენომენი, სადღეისოდ კი დაკავებული ვარ მეორე წიგნის მომზადებით. იგი ეძღვნება სიკვდილის წინა მდგომარეობის გადატანას და რომელშიც აღნიშნულ საკითხს მეტი ადგილი დაეთმობა.

ალეკო იაკობაშვილი,

ქ. ბომბეის იოგა-თერაპიის ინსტიტუტის საპატიო დოქტორი.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო" № 23.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ჯგუფი

8 აპრილი. XXIII ტური

„მარგვეთი" (ზესტაფონი) — „შევარდენი-1906" (თბილისი) 1:1. მსაჯები: გ. ხეჩუაშვილი (კასპი), ი. ნოზაძე (გორი), შ. თომაშვილი (მცხეთა). „მარგვეთი": აბუსერიძე, მამულიძე, გაბრიჩიძე, გოგატაძე, ლონდაძე, ბარჩილავა, ინიაშვილი. ენდელაძე, ჭუღელი, კიკნაძე (ცერცვაძე), ფაიქიძე. „შევარდენი-1906", დევაძე, ქოჩლაძე, მაჭავარიანი, ჩადუნელი, გელაძე, კოპალეიშვილი, ნემსაძე, მელქაძე, გოგიჩაიშვილი, ყიზილაშვილი, მინაშვილი. გოლები: ინიაშვილი, მინაშვილი.

მატჩს ზესტაფონში ცივი, ღრუბლიანი ამინდი შეესწრო, მიუხედავად ამისა, ლამაზი ფეხბურთის ნახვის სურვილმა აქ მრავალი მაყურებელი ჩამოიყვანა იმერეთის სხვადასხვა რაიონიდან. მათი მოლოდინი გამართლდა კიდეც: ამ თამაშზე მართლაც ითქმის საინტერესო და უკომპრომისო.

გუნდები „დაზარალებულები" გამოვიდნენ მოედანზე: წინა ტურში მიღებული გაფრთხილებების გამო თბილისელებს — ჭიჭკარიანს, ხურცილავას და ზესტაფონელ ხიდირბაძეს უნდა გამოეტოვებინათ თამაში.

მატჩის დებიუტი ზესტაფონელთა სასარგებლოდ წარიმართა — მათ ყოველგვარი დაზვერვის გარეშე, გაბედულად, მძაფრად შეუტიეს და წარმატებასაც მალე მიაღწიეს: მე-6 წუთზე ზესტაფონელთა მწვავე იერიშისას იმარჯვა ინიაშვილმა და ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში. მასპინძლები არც ამის შემდეგ დამცხრალან და თბილისელთა მეკარის დევაძის ჩინებული თამაში რომ არა, უთუოდ გაზრდიდნენ სხვაობას ანგარიშში.

გარდატეხა თამაშში მოულოდნელად, მე-11 წუთზევე მოხდა: ერთ-ერთმა თბილისელმა მცველმა უნებლიეთ ხელით ითამაშა საკუთარ საჯარიმოში. პენალტის დასარტყმელად მოემზადა მასპინძელთა გოლეადორი ჭუღელი. დევაძემ მიმართა მეკარეთა ცნობილ ხრიკს: დიდხანს ისწორა სპორტული ფორმა და მერეღა ჩადგა კარში. ამან, ეტყობა, ფსიქოლოგიურად იმოქმედა თავდამსხმელზე და.. მის მიერ დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა, თანაც, დევაძემ კუთხე გამოიცნო და ლამის მისწვდა კიდეც ბურთს.

გამოუყენებელმა პენალტმა უარყოფითად იმოქმედა მასპინძელთა საბრძოლო სულისკვეთებაზე — ისინი მოდუნდნენ, დაკარგეს სისწრაფე და სიზუსტე გადაცემებში. თბილისელებს ამოსუნთქვის საშუალება მიეცათ და ამით კარგადაც ისარგებლეს — დაეპატრონენ მოედნის შუაგულს, სადაც აქტიურად ამოქმედდა ნემსაძე, შეტევის წინა ხაზზე კი „გაიღვიძეს" ყიზილაშვილმა და გოგიჩაიშვილმა. მათი ერთ-ერთი შეტევისას მასპინძლებმა ხელით ითამაშეს საჯარიმო მოედნის სიახლოვეს. მელქაძის ძლიერად დარტყმული საჯარიმო აბუსერიძემ მოიგერია, მაგრამ ბურთთან რამდენიმე თბილისელი გაჩნდა და ანგარიში გათანაბრდა (სტადიონზე გოლის გამტანად ნემსაძე გამოცხადდა, მაგრამ თამაშის შემდეგ გაირკვა, რომ ბურთს უკანასკნელად მინაშვილი შეეხო).

წარუმატებლობამ ზესტაფონელები გამოაფხიზლა. მათ, ბუნებრივია, ტემპსაც უმატეს და ტაიმის ბოლომდე ჭუღელს, ორჯერ კი ბარჩილავას შეეძლოთ ბურთის გატანა, მაგრამ ბრწყინვალედ ითამაშა დევაძემ.

მასპინძლებმა მეორე ტაიმშიც მრავალჯერ „დალაშქრეს" თბილისელთა კარი, მაგრამ ბედი აშკარად არ სწყალობდათ, თანაც, ეტყობა, „დევაძის კომპლექსიც" გაუჩნდათ. მასთან პირისპირ გასულმა ბარჩილავამ და კიკნაძემ ვერ მოახერხეს მისი მოტყუება. მატჩის ბოლო წამებზე კი კერძევაძემაც წააგო დუელი დევაძესთან.

„გურია" (ლანჩხუთი) — „დინამო" (თბილისი) 1:2. მსაჯები: გ. მიქაუტაძე, ა. დოგრაშვილი, თ. მაჩიტიძე (სამივე — ქუთაისი). გაფრთხილებს: ანჩაბაძე, შ. არველაძე, მ. შელია („დინამო"), პ. მეტრეველი („გურია"). გოლები: ზერბერიანი („გურია"), ქინქლაძე, შ. არველაძე („დინამო").

„ცხუმი" (სოხუმი) — „გორდა" (რუსთავი) 2:1. მსაჯები: ვ. ვარდიძე, რ. ვერულაშვილი (ორივე — თბილისი), ა. წერეთელი (ჭიათურა). გოლები: ბიგვავა, გოგიაშვილი („ცხუმი"), ალადაშვილი („გორდა").

„სამგურალი" (წყალტუბო) — „კახეთი" (თელავი) 3:1. მსაჯები: ვ. ეჯიბია, მ. მალაღურაძე, მ. ელიკაშვილი (სამივე — თბილისი). გოლები: ფირტავენიძე, მეგრელაძე, წანავაძე („სამგურალი"), კაციტაძე („კახეთი").

„დილა" (გორი) — „მრეტები" (თბილისი) 0:0

„ბათუმი" (ბათუმი) — „სამტრედია" (სამტრედია) 1:1. მსაჯები: თ. ლორთქიფანიძე (თბილისი), ზ. მირცხულავა (ლანჩხუთი), ა. ბერიძე (ოზურგეთი). გოლები: მუჯირი („დინამო"), ბახიშვილი („სამტრედია").

„ოდიში" (ზუგდიდი) — „ალაზანი" (გურჯაანი) 2:1. მსაჯები: თ. მაჭარაძე (ხონი), მ. ჭულაყიძე, ხ. კახიანი (ორივე — სამტრედია). გოლები: გაბისონია, ჯანაშია („ოდიში"), უგრელიძე („ალაზანი"). გაფრთხილებს: ჯანაშია, თუთბერიძე, კვიტატიანი (სამივე — „ოდიში"). ეს მატჩი გაიმართა სამტრედიაში.

„კოლხეთი-1913" (ფოთი) — „ივერია" (ხაშური) 0:0. მსაჯები: ე. ხილაგავა, მ. პელიძე, ა. შილაკაძე (სამივე — თბილისი). გაფრთხილებს ჩადუნელი („ივერია").

• • •

ფეხბურთის ფედერაციაში მოეწყო საქართველოს თასის ნახევარფინალის კენჭისყრა. მეტოქეები ასე დაწყვილდნენ:

„დინამო" (თბილისი) — „ტორპედო" (ქუთაისი)

„ბათუმი" (ბათუმი) — „მარგვეთი" (ზესტაფონი).

ნახევარფინალები გაიმართება 24 აპრილს და 10 მაისს. პირველ მატჩს მეტოქეები ჩაატარებენ პირველად დასახელებული გუნდების სტადიონებზე. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ეროვნული კლუბების ნაკრების ესპანეთში გამგზავრებასთან დაკავშირებით, შეიძლება გადატანილი იქნას 24 აპრილის თამაშები.

• • •

პირველი ჯგუფი. 4 აპრილი. ქობულეთის „შუქურამ" ლანჩხუთში დაამარცხა „გურია-2" 2:0. ჭიათურაში „მალაროელმა" სძლია მესამე ადგილზე მყოფ ოზურგეთის „მერცხალს" 2:1. სხვა შეხვედრები: „მერანი" — „არმაზი-90" 0:1, „საპოვნელა" — „სიონი" 1:0, „არმაზი" — „იმერეთი" 1:0.

• • •

სფფ-ს სპორტულ-ტექნიკური კომიტეტის გადაწყვეტილებით, 18 მარტს „ალაზანი" — „გორდას" მატჩში გაძევებულ ფეხბურთელს გიორგი კილასონიას („გორდა") აეკრძალა სფფ-ს ეგიდით ჩატარებულ შეჯიბრებებში მონაწილეობა. ამავე დროს, იგი დაჯარიმებულია 30 ათასი მანეთით.

22 მარტს ფოთში, „ოდიში" — „ბათუმის" შეხვედრის დროს, ზუგდიდელმა გულშემატკივრებმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს გვერდით მსაჯს, რისთვისაც საფეხბურთო კლუბი „ოდიში" დაჯარიმდა 25 ათასი მანეთით. შეუფერებელი საქციელისთვის [illegible] გაფრთხილება. „ოდიშის" ტექნიკურ დირექტორს [illegible] მწვრთნელს ბ. თუთბერიძეს, ამასთან, ისინი დაჯარიმდნენ 20-20 ათასი მანეთით.

სხვადასხვა დარღვევებისათვის საჯარიმო სანქციები დაედოთ: „სამცხის" სტადიონს — 20 ათასი მანეთი, „საპოვნელას" ფეხბურთელს მ. უკლებას — 5 თამაშით დისკვალიფიკაცია და ჯარიმა 10 ათასი მანეთი, „ერწუხის" ფეხბურთელს ა. ხუციშვილს — 5 თამაშით დისკვალიფიკაცია და ჯარიმა 10 ათასი მანეთი, „არმაზის" ფეხბურთელს ზ. ხამრაძეს — 2 თამაშით დისკვალიფიკაცია და ჯარიმა 5 ათასი მანეთი, „მერანი-91"-ის ფეხბურთელს დ. ჯიშკარიანს 1 თამაშით დისკვალიფიკაცია და ჯარიმა 2 ათასი მანეთი.

ჯემალ ჩიკაშვილი,
„ლელოს" საფეხბურთო მიმომხილველი.

WORLD CUP '94

მსოფლიო ჩემპიონატი

კონკაკაფ-ის ზონაში გაიმართა 1994 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის ორი შესარჩევი შეხვედრა.

სან-სალვადორი. სალვადორელმა ფეხბურთელებმა აქ მიიღეს მექსიკის ნაკრები და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1. პირველი ბურთი მასპინძელთაგან კასტრომ გაიტანა მე-40 წუთზე (11-მეტრიანი). შესვენების შემდეგ, 75-ე წუთზე, გარსიამ გაათანაბრა ანგარიში, მაგრამ ზუსტად 2 წუთის შემდეგ რენდეროსის ზუსტმა დარტყმამ გამარჯვება მოუტანა სალვადორის გუნდს — 2:1.

ტეგუსიგალპა. ჰონდურასისა და კანადის ნაკრები გუნდების შეხვედრა დაძაბული ბრძოლის შემდეგ ფრედ დამთავრდა — 2:2. დაწინაურდნენ კანადელები, გოლი კატლიფმა გაიტანა 30-ე წუთზე 11-მეტრიანით. ეს გოლი სმითმა გაქვითა მე-40 წუთზე. შემდეგ სტუმრები კიდევ ერთხელ დაწინაურდნენ (ბამბრი, 78-ე წუთი), ჰონდურასელებმა კი კვლავ გაათანაბრეს ანგარიში — ობანდომ 88-ე წუთზე. 11-მეტრიანით.

ელიან სრულ ანშლაგს

ნიუ-იორკი. 1994 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის ორგანიზატორები ვარაუდობენ, რომ ამ შეჯიბრებაზე ამერიკის შეერთებულ შტატებში სრული ანშლაგი იქნება. ამის თაობაზე განცხადებით გამოვიდა ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ალან როზენბერგი. მან აღნიშნა ის გარემოება, რომ ბილეთების გაყიდვის პირველი სტადია ფრიად წარმატებით ჩატარდა: „მოხარული ვარ გაცნობოთ, რომ ყველა ბილეთი გაიყიდა, იძულებული გავხდით, მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად ნაწილობრივ რეზერვიც გამოგვეყენებინა. ახლა ეჭვიც არ გვეპარება, რომ მივაღწევთ დასახულ მიზანს და პირველნი ვიქნებით მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატების ორგანიზატორთა შორის, ვინც შეძლო მთლიანად ყველა ბილეთის გასაღება" — თქვა მან.

სულ მალე, ივნისში, გამოუშვებენ ბილეთების ახალ პარტიას, მათი შეძენის მსურველ გულშემატკივრებს მოუწოდებენ მიმართონ ტურისტულ სააგენტოებს და ეროვნულ ფედერაციებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

გათამაშების ცხრილები

უმაღლესი ჯგუფი

მდგომარეობა 8 აპრილისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" (თბილისი)	20	17	1	2	52-14	52
„შევარდენი-1906" (თბილისი)	20	11	4	5	41-22	37
„სამგურალი" (წყალტუბო)	20	11	4	5	48-30	37
„ალაზანი" (გურჯაანი)	19	11	2	6	38-28	35
„ტორპედო" (ქუთაისი)	19	10	3	6	37-22	33
„მარგვეთი" (ზესტაფონი)	18	10	3	5	33-31	33
„კოლხეთი-1913" (ფოთი)	20	9	6	5	32-21	33
„გორდა" (რუსთავი)	19	9	4	6	48-29	31
„ბათუმი" (ბათუმი)	19	7	4	8	32-32	25
„კახეთი" (თელავი)	19	7	3	9	33-39	24
„დილა" (გორი)	20	7	3	10	25-35	24
„სამტრედია" (სამტრედია)	19	6	4	9	19-28	22
„გურია" (ლანჩხუთი)	19	6	2	11	20-37	20
„მრეტები" (თბილისი)	19	6	2	11	21-39	20
„ივერია" (ხაშური)	20	5	2	13	18-42	17
„ცხუმი" (სოხუმი)	19	4	1	14	32-47	13
„ოდიში" (ზუგდიდი)	19	3	2	14	24-43	11

I ჯგუფი

მდგომარეობა 5 აპრილისთვის

„მალაროელი" (ჭიათურა)	19	15	2	2	52-24	47
„შუქურა" (ქობულეთი)	18	15	1	2	42-19	46
„მერცხალი" (ოზურგეთი)	19	12	0	7	52-44	36
„საპოვნელა" (თერჯოლა)	19	11	1	7	39-30	34
„დურუჯი" (ყვარელი)	19	10	2	7	34-22	32
„მეშახტე" (ტყიბული)	17	10	1	6	29-26	31
„სულორი" (ვანი)	18	10	0	8	45-33	30
„არმაზი" (მცხეთა)	19	8	5	6	35-29	29
„სიონი" (ბოლნისი)	18	8	3	7	45-31	27
„არაგვი" (დუშეთი)	18	7	3	8	28-24	24
„ბახტრიონი" (ახმეტა)	18	7	2	9	26-33	23
„არმაზი-90" (თბილისი)	18	5	3	10	30-43	18
„იმერეთი" (ხონი)	18	5	0	13	25-46	15
„გურია-2" (ლანჩხუთი)	17	3	3	11	28-49	12
„ქართლი" (გორი)	18	3	0	15	22-46	9
„მერანი" (თბილისი)	17	2	2	13	16-47	8

მინიფეხბურთი

პირველი ჩემპიონატი

8 აპრილს დაიწყო საქართველოს პირველი ეროვნული ჩემპიონატი მინიფეხბურთში. პირველ ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად თბილისში შეიკრიბა 14 გუნდი. „ქარიშხალის" სპორტულ დარბაზში მოსული გულშემატკივრები საინტერესო თამაშების მოწმენი არიან. გაცნობებთ პირველი სამი ტურის შედეგებს:

I ტური

„ლაბირინთი" (თბილისი) — „მენედა" (თბილისი) 3:4; „ვესტა" (თბილისი) — „თუთარჩელა" (თბილისი) 5:2; „მერიდიანი" (თბილისი) — „გავაზი" (თბილისი) 6:2; „ორნატი" (ზესტაფონი) — „ძლევაი" (თბილისი) 4:2; „ქორეგბი" (თბილისი) — „იმედი" (ბაღდათი) 6:4; „იბერია" (თბილისი) — „ერქვანი" (თბილისი) 2:1; „ვაკე" (თბილისი) — „ხომლი-90" (თბილისი) 5:2.

II ტური

„მერიდიანი" — „იმედი" 9:7; „ვესტა" — „ხომლი-90" 3:2; „ლაბირინთი" — „ძლევაი" 1:5; „მენედა" — „ქორეგბი" 3:7; „თუთარჩელა" — „გავაზი" 2:0; „ერქვანი" — „ვაკე" 2:1; „იბერია" — „ორნატი" 4:4.

ორი ტურის შემდეგ 4 ქულით ლიდერობენ „ვესტა" და „ქორეგბი". 3-3 ქულა აქვთ „მერიდიანს", „ორნატს" და „იბერიას".

III ტური

„ვესტა" — „გავაზი" 7:3, „მენედა" — „ორნატი" 4:5, „თუთარჩელა" — „ვაკე" 2:10, „იბერია" — „ხომლი-90" — 3:2, „ერქვანი" — „ძლევაი" 6:4, „ლაბირინთი" — „იმედი" 1:10, „მერიდიანი" — „ქორეგბი" 3:3.

3 ტურის შემდეგ 6 ქულით ლიდერობს „ვესტა", 5-5 ქულა მოაგროვეს „ქორეგბმა", „ორნატმა" და „იბერიამ".

ირაკლი ხუციშვილი

17 სეზონი, მეთვრამეტეც...

ისეთ წარმატებებს, ინგლისელმა სპეციალისტმა ბრაიან კლაფმა რომ მიაღწია, ახლა ბევრი საკლუბო მწვრთნელი ვერ დაიკვეხნის.

კლაფი 1935 წლის 21 მარტს დაიბადა, ოდესღაც ინგლისში კარგად ცნობილი ცენტრფორვარდი იყო, 1956-61 წლებში თამაშობდა „მიდლსბროში", 1961-62 წლებში — „სანდერლენდში". ორი მატჩი ჩაატარა ინგლისის ნაკრებში, 274 — ინგლისის ლიგაში, სადაც 252 გოლი გაიტანა. სამჯერ იყო ლიგის უპირველესი სნაიპერი — 1958 წელს 40 ბურთი გაიტანა, 1959 წელს — 42, 1960 წელს — 39. მძიმე ტრავმის გამო თამაშს ადრე დაანება თავი, შემდეგ მწვრთნელად მუშაობდა „ჰარტლეპულ იუნაიტედში", „დერბი ქაუნთიში", „ბრაიტონში", „ლიდს იუნაიტედში". ამ პერიოდიდან უნდა აღინიშნოს „დერბი ქაუნთის" მიერ 1972 წელს ინგლისის ჩემპიონობის მოპოვება მისი ხელმძღვანელობით.

ბ. კლაფმა განსაკუთრებით გაითქვა სახელი 1975 წლიდან „ნოტინგემ ფორესტში" მუშაობით. მის დროს გუნდი დაეუფლა ევროპის სუპერთასს (1979), ორჯერ გახდა ინგლისის ჩემპიონი (1979 და 1980 წლებში), ორჯერ დაეუფლა ინგლისის ლიგის თასს (1978 და 1979 წლებში), ორჯერ — ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასსაც (1979 და 1980 წლებში).

ნოტინგემში ბრაიან კლაფს დიდ პატივს სცემენ, ამას წინათ ხელი მოაწერეს მასთან კიდევ ერთ კონტრაქტს, რომლის ძალითაც იგი გუნდს 1993-94 წლების სეზონშიც უხელმძღვანელებს, მაგრამ ამდენი წარმატების შემდეგ კლუბის მესვეურებს მაინც მოუხდათ ერთგვარი ყოყმანი: საქმე ის არის, რომ მიმდინარე სეზონი ამ სახელოვანი კლუბისთვის (და მწვრთნელისთვისაც) ერთობ უბედურად წარიმართა, იგი მარცხს მარცხზე განიცდის და ხმა დაირხა, რომ კლაფმა თავისი შესაძლებლობები ამოწურა.

რა თქმა უნდა, ბ. კლაფს თავისი ხანგრძლივი კარიერის მანძილზე არაერთი ბედნიერი თუ უსიამოვნო წუთი განუცდია, მაგრამ ერთი თავგადასავალი ამბავს იგი ხშირად იხსენებს: ერთხელ, განთიადისას იგი შინიდან გამოვიდა და მდინარის პირას ასეთ სურათს წააწყდა: კაცი ხიდიდან ხტებოდა თავის დასახრჩობად. კლაფმა დიდი გაჭირვებით შეაჩერა იგი. შემდეგ კი, აი რა მოხდა — ადამიანმა, რომელიც სიცოცხლესთან განშორებას აპირებდა, იცნო კლაფი და თითქოს არაფერი მომხდარიყო, მთელი რიგი პრეტენზიები წაუყენა მას: კერძოდ, იგი ცუდად წვრთნის „ნოტინგემ ფორესტს", არ იყენებს ტაქტიკურ სიახლეებს, გასაქანს არ აძლევს ზოგიერთ ფეხბურთელს, დააწინაურებს ზოგიერთ არცთუ ისე ღირსეულთ. ერთი სიტყვით, ათასგვარი ცოდვა დააბრალა და აშკარა ლანძღვა-გინებაზეც კი გადავიდა.

— ერთი კი ვიფიქრე, რატომ ვიხსენი ასეთი სულელი სიკვდილისგან, შემდეგ კი ხელი ჩავიქნიე. — დაასრულა ეს უცნაური ამბავი ბრაიან კლაფმა.

ზაზა თორაძე

გინდა ჩხუბი? დადე ფული!

„ორლანდო მეჯიკის" ცენტრალური თავდამსხმელი, პროფესიული საკალათბურთო ლიგის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა „სუპერვარსკვლავი" შეკვილ ონილი ცდილობს ყოველმხრივ დაამახსოვროს თავი გულშემატკივრებს და ამას ბრწყინვალედ ახერხებს: ჯერ ერთი, ფენომენალური ფიზიკური მონაცემებისა და ღვთით მომადლებული საკალათბურთო ალღოს წყალობით პირველსავე სეზონში გაითქვა სახელი, როგორც ნბა-ს ყველაზე პერსპექტიულმა ახალბედამ. მაგრამ მას, ამავე დროს, აღმოაჩნდა ერთობ თავშეუკავებელი ხასიათი და გასაოცარი მისწრაფება ყველა სადავო საკითხი ადგილზე, მომენტალურად „გადაწყვიტოს". მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ნერვები სხვა კალათბურთელებსაც აქვთ და არავინ არის იმდენად მშიშარა, რომ აშკარა კონფრონტაციას გაექცეს, ონილის დაუფიქრებელი ქცევა, მეტწილად, ჩხუბისა და აყალმაყალის საბაბი ხდება.

მსგავსი ექსცესების ალკვეთის მიზნით კალათბურთის ეროვნული ასოციაციის ხელმძღვანელებმა დიდი ხანია უტყუარი და საკმაოდ ეფექტური საშუალება გამოიგონეს, რომელიც პირდაპირ კავშირშია სპორტსმენის ფინანსურ ინტერესებთან. ეს საშუალება გახლავთ ფულადი ჯარიმები, თანაც საკმაოდ სოლიდური, განსაკუთრებულ შემთხვევებში კი ფანტასტიკურად დიდი.

ერთი სიტყვით, ნბა-ს ჩემპიონატის ერთ-ერთი კალენდარული მატჩის დროს „ორლანდო მეჯიკის" კალათბურთელმა შეკვილ ონილმა, რომელმაც, სპეციალისტთა ღრმა რწმენით, სულ მალე უნდა შეცვალოს ლეგენდად ქცეული მაიკლ ჯორდანი, ჩხუბი წამოიწყო „დეტროიტ პისტონსის" მცველ ელვინ რობერტსონთან. ვინ იყო ამ ინციდენტის უშუალო წამომწყები, ძნელი სათქმელია — ამას ნბა-ს დისციპლინარული კომისია არც იკვლევს, ისე კი, ტელეეკრანებზე ჩანდა (ეს მომენტი, სხვათა შორის, ოსტანკინოს ტელევიზიამაც გაიმეორა), რომ ჩხუბის თავი ონილი იყო.

ასეა თუ ისე, კომისიამ ორივე მეტოქე დააჯარიმა, თანაც ონილი 10 ათასი დოლარით, მისი ოპონენტი რობერტსონი კი 7,5 ათასით. მაგრამ დამნაშავეთა მიმართ მიღებული სანქციები ამით როდი ამოიწურა: კერძოდ, იმავე ნბა-ს კანონით და „ორლანდოსთან" დადებული ხელშეკრულების თანახმად, შეკვილ ონილი დაკარგავს ჰონორარის გარკვეულ ნაწილს, უფრო ზუსტად, 35.585 დოლარს. ვილაცამ შეიძლება იფიქროს, ეს არაფერი თანხაა ონილის წლიურ შემოსავალთან შედარებით, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე უფრო მაღალია ნბა-ში და 3 მილიონ დოლარს აჭარბებსო. ეკონომიკურად ამ კალათბურთელის პოზიციებს მართლაც ვერანაირი ჯარიმა ვერ შეარყევს, მას შეუძლია გულდამშვიდებით იჩხუბოს ყოველ მატჩში, თუ ასეთი სურვილი სხვა დროსაც გაუჩნდება, მაგრამ ძიამიტები არც ხია-ძი სხედან, და თუ მათ ვინმე მოიძულეს, ბოლომდე შეუძლიათ გაწირონ კიდეც. ეს კი ნიშნავს ნბა-ში თამაშის უფლების აყრას, რაც კატასტროფის ტოლფასია. ჩხუბის მოყვარულებს ეს მუდამ ახსოვთ და, მეტწილად, „ადგილობრივი მნიშვნელობის" სკანდალებს სჯერდებიან.

ამ ინციდენტმა კიდევ ორი „დამნაშავე" გამოავლინა. ესენი იყვნენ „დეტროიტის" სათადარიგო მოთამაშეები ტერი მილსი და ისაია მორისი, რომლებიც ჩხუბის დროს სკამიდან წამოდგნენ. დიახ, ნბა-ს კანონების თანახმად, მსგავსი ინციდენტის დროს სათადარიგო მოთამაშეებს ფეხზე წამოდგომის უფლებაც კი არა აქვთ. როგორც ხედავთ, ამ კალათბურთელებს დიდი დანაშაული არ მიუძღვით. სწორედ ამიტომ, მათი სასჯელიც უმნიშვნელო იყო — 500-500 დოლარი.

საქმე აქ, ცხადია, ეკონომიკური სანქციები არ გახლავთ. მთავარია პრინციპი, რომლის თანახმადაც ნბა-ს ჩემპიონატში უწმინდური არაფერი უნდა ხდებოდეს. არა აქვს მნიშვნელობა იმას, ვინ არღვევს წესს. გუშინ მოსული თუ ყველასგან დაფასებული და საყვარელი ვეტერანი. სხვათა შორის, ამ ცოტა ხნის წინ ასეთივე ჯარიმის გადახდა მოუხდა პროფესიული კალათბურთის № 1 ვარსკვლავს მაიკლ ჯორდანს. მეტიც, ბოლო ერთი კვირის განმავლობაში დისციპლინური დარღვევებისთვის 20 კალათბურთელი დაჯარიმდა.

რაც შეეხება ჩემპიონატს, აქ ყველაფერი თავისი რიგითა და წესით მიდის. „პლეი ოფის" ადრე ცნობილ ოთხ მონაწილეს: „ჩიკაგო ბულსს", „ჰიუსტონ როკეტსს", „ფენიქს სანსსა" და „სიეტლ სუპერსონიკსს" კიდევ ორი გუნდი დაემატა — „ნიუ-იორკ ნიკსი" და „სან-ანტონიო სპერსი".

ახლა კი ლიდერთა მდგომარეობაზე:

აღმოსავლეთის კონფერენცია
ატლანტის დივიზიონი

	მ.	წ.	%
„ნიუ-იორკი"	48	20	706
„ბოსტონი"	42	28	600
„ნიუ-ჯერსი"	41	29	586
ცენტრალური დივიზიონი			
„ჩიკაგო"	48	21	699
„კლივლენდი"	43	25	632
„ატლანტა"	38	32	543
დასავლეთის კონფერენცია **შუა-დასავლეთის დივიზიონი**			
„ჰიუსტონი"	44	25	638
„სან-ანტონიო"	43	26	623
„იუტა"	41	30	577
წყნარი ოკეანის დივიზიონი			
„ფენიქსი"	53	18	789
„სიეტლი"	48	23	676
„პორტლენდი"	41	27	603

შავ-თეთრი გეოპოლიტიკა: კასპაროვ-შორტის დავა ფიდესთან გრძელდება

გარი კასპაროვისა და ნაიჯელ შორტის მძაფრ შეტევას ფიდეზე — ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის მათი მატჩის პროფესიონალთა ასოციაციის ეგიდით ჩატარების შესახებ — საერთაშორისო ფედერაციამ კონტრშეტევით უპასუხა — რუსეთის საჭადრაკო ფედერაციას გაეგზავნა ფიდეს ოფიციალური გადაწყვეტილება მსოფლიო ჩემპიონის კასპაროვისა და ჩემპიონობის პრეტენდენტის შორტის დისკვალიფიკაციის შესახებ. ამასთან, ფიდეს პრეზიდენტი ფლორენსიო კამპომანესი მონაკოში ყოფნისას მოლაპარაკებას მართავდა მსოფლიო ექსჩემპიონ ანატოლი კარპოვთან და პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში დამარცხებულ ჰოლანდიელ იან ტიმანთან, რათა მათ ითამაშონ მატჩი მსოფლიოს ახალი ჩემპიონის წოდებისათვის.

ცნობილი გახდა, რომ კასპაროვმა შორს დაიჭირა კამპომანესის წინადადება ტიმანთან მსოფლიო ჩემპიონის წოდებისთვის მატჩის თაობაზე იმ მოტივით, რომ იგი სიტყვიერ განცხადებას არ ენდობა (როგორც წესი, ასეთი წინადადება მხარეებს ეძლევათ წერილობით, კამპომანესს კი ასეთი დოკუმენტის შექმნა არ სურს).

სარწმუნო წყაროებზე დაყრდნობით გავრცელდა ცნობა, რომ ფიდეს პრეზიდენტის ეს ნაბიჯი მიმართულია კასპაროვის დასაშინებლად. მაგრამ მას ავიწყდება, რა კერკეტი კაკალია ახლანდელი ჩემპიონი. კასპაროვ-შორტისა და ფიდეს ამ ცხარე დავაში ჩარევა სცადა რუსეთის ჭადრაკის ფედერაციამ, რომელმაც აცნობა კასპაროვს, რომ იგი თანახმაა იყოს შუამავალი მხარეთა შორის, თუ კასპაროვი პოზიციას შეიცვლის, რაც საჭადრაკო სამყაროს იხსნის პარადოქსული ვითარებისგან — ვაჟთა შორის ორი მსოფლიო ჩემპიონისგან.

კასპაროვ-შორტის მატჩის გახსნამდე თითქმის ხუთი თვეა, მანამდე ბევრი რამ შეიძლება მოხდეს, მაგრამ ჯერჯერობით მოწინააღმდეგე მხარეები მტკიცედ დგანან პირვანდელ პოზიციებზე: ფიდე მოითხოვს კასპაროვ-შორტის მატჩის ჩატარებას მისი ეგიდით, ჩემპიონი და პრეტენდენტი კი, ფიდეთი და მისი პრეზიდენტით უსაზღვროდ განაწყენებულნი, ცდილობენ დაამხონ იგი.

უკანასკნელ მომენტში გახდა ცნობილი, რომ კარპოვი და ტიმანი დათანხმდნენ ითამაშონ მატჩი.

რა ხდება ქვეყანაზე

● **გფრ-ის** ჰოკეისტთა ბუნდესლიგის სპონსორებმა დახმარების სახით გამოყვეს სპორტის ამ სახეობისთვის სარეკორდო თანხა — 15 მილიონი მარკა, რაც იმას ნიშნავს, რომ ჰოკეი ქვეყანაში, ალბათ, სულ უფრო მეტ მომხრეს შეიძენს. ყველაზე დიდი წვლილი ჰოკეის დაფინანსებაში შეიტანეს კომპიუტერების ფირმა „ეპსონმა" და ქვების კონცერნმა „მარქსმა" — 700-700 ათასი მარკა.

● **აშშ-ის** ქალაქ სპრინგფილდში (მასაჩუსეტსის შტატი) არსებობს „საკალათბურთო დიდების მუზეუმი", რომელიც ამ თამაშის გამომგონებლის ჯეიმს ნეისმიტის სახელს ატარებს. იგი არ არის საზოგადოებრივი ორგანიზაცია — მუზეუმი კერძო დაწესებულებაა, რომელსაც ხელმძღვანელობს მზრუნველთა საბჭო 47 კაცის შემადგენლობით. თავის დროზე, ამ მუზეუმის დაარსებისთვის ადგილობრივმა ხელისუფლებამ გაიღო 8 მილიონი დოლარი, ფირმებმა კი 3,5 მილიონი, ახლა მუზეუმს სხვადასხვა ფირმებთან ერთად ინახავენ ნბა-ს ხელმძღვანელები და ცალკეული პროფესიონალი ვარსკვლავები.

● **კიოლნის** საკმაოდ ცნობილ დოპინგსაწინააღმდეგო ლაბორატორიაში, რომელსაც ასევე ცნობილი სპეციალისტი, პროფესორი მანფრედ დონიკე ხელმძღვანელობს, გამოიგონეს ანალიზის ახალი მეთოდი — „სტეროიდული პროფილი". ეს მეთოდი საშუალებას იძლევა აღმოაჩინოს სისხლში 8 თვის წინ მიღებული დოპინგის კვალი. ადრე, ანალიზის ჩვეულებრივი საშუალებებით, მხოლოდ თვენახევრის ფაქტებს აფიქსირებდნენ.

● **მიიღებს** თუ არა ბერლინი მესამე ათასწლეულის დასაწყისის რომელიმე ოლიმპიადის (2000 ან 2004 წლები) ჩატარების უფლებას? ამაზე საუბარი დღეს უსარგებლოა, მაგრამ ქალაქის ბურგომისტრის ვალტერ მომპერის განცხადებით, თუ ეს მოხდა, გერმანიის ხელისუფლებას თამაშების ორგანიზაციისთვის საკმაოდ სოლიდური თანხის გაღება მოუხდება — დაახლოებით 3,75 მილიარდი მარკისა. მომპერს არ სჯერა, რომ მომავლის ოლიმპიადები განთავისუფლდება გიგანტომანიის მავნე სენისგან.

რა ხდება ქვეყანაზე

ელენე (ელიკო) ტალნიკოვა

ულმობელმა სიკვდილმა ჩვენს კოლექტივს, განსაკუთრებით კი მათ, ვინც სახაბლის გახსნის დღიდან მსახურობს აქ, გამოგვაცალა შრომით, კეთილშობილებით, პატიოსნებით გამორჩეული, ოჯახზე, სამსახურზე უსაზღვროდ შეყვარებული პიროვნება და დაუზარელი თანამშრომელი ელენე ტალნიკოვა.

მისი ნათელი ხსოვნა მუდამ იცოცხლებს ჩვენს გულებში.

სპორტის სახაბლის შრომითი კოლექტივი

ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი

აკ. წერეთლის გამზირი №2

საქართველოს ჩემპიონატი ფეხბურთში

10 აპრილი

„დინამო" (თბილისი) — „კოლხეთი-1913" (ფოთი)

დასაწყისი 15 საათზე

ბილეთები გაიყიდება 10 აპრილს სტადიონის სალაროებში 10 საათიდან.

„სპორტლოტო"

მე-14 ტირაჟები

„6 45": 3. 7. 21. 24. 26. 33.
„5 36": 3. 13. 19. 23. 36.
„6 56": 14. 21. 23. 24. 43. 44. 53.

მე-13 ტირაჟების შედეგები

„6 45":
6 ნომერი — 0,
5 ნომერი — 24.980 მანეთი;
4 ნომერი — 804 მანეთი.
„5 36":
5 ნომერი — 213.332 მანეთი;
4 ნომერი — 708 მანეთი;
3 ნომერი — 54 მანეთი.

„სპორტპროგნოზი"

მე-13 ტირაჟის შედეგები

13 შედეგი — 0;
12 შედეგი — 40.987 მანეთი;
11 შედეგი — 8.482 მანეთი.

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

საქართველოს რესპუბლიკის სპორტის კომიტეტი იუწყება, რომ გარდაიცვალა დარგის ვეტერანი, ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი

შოთა სუხიშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის 1962 წლის კურსდამთავრებულები თანაუგრძნობენ თანაკურსელს ჯემალ აბოგაძეს მამის

ნიკოლოზ (კოლია) ახობაძის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს ჭიდაობის რესპუბლიკური ფედერაცია თანაუგრძნობს ამავე ფედერაციის მწვრთნელებს თამაზ და ჯემალ ბენდიანიშვილებს **დედის** გარდაცვალების გამო.

მორაგბეთა კლუბი „შევარდენი" სამძიმარს უცხადებს კლუბის წევრს შალვა ჯანელიძეს ძმის

ქართლოს ჯანელიძის

გარდაცვალების გამო.

საჭადრაკო ფენომენი—რობერტ ფიშერი

(დასასრული)

რის ნათამაშები 12 პარტიიდან ფიშერმა მოიგო 9, წააგო 2, ერთი პარტია ყაიმით დასრულდა.

„უნგრელ ბოტვინიკად" წოდებულ შესანიშნავ დიდოსტატ ლაიოშ პორტიშს ბობი ექვსჯერ შეხვედრია (იგი ფიშერზე 6 წლით უფროსია). პორტიში მან სამჯერ დაამარცხა, ამდენივეში ყაიმი აღინიშნა.

ცხოვრებაში ფიშერი და განთქმული იუგოსლაველი დიდოსტატი სვეტოზარ გლიგორიჩი დიდი მეგობრები არიან, მაგრამ ეს სრულიადაც არ უშლით ხელს საჭადრაკო დაფასთან უკომპრომისო ბრძოლაში. მაშინ, როცა ბობი მხოლოდ იწყებდა თავის სპორტულ კარიერას, მასზე 20 წლით უფროსი გლიგორიჩი მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი დიდოსტატი იყო. ამერიკელს, თავდაპირველად, ცხადია, უჭირდა მასთან თამაში, მაგრამ შემდეგ ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. 18 შეხვედრიდან ფიშერმა მოიგო 7 და წააგო 4 პარტია.

არგენტინელი მიგელ ნაიდორფი მიიჩნევდა, რომ შეეძლო მსოფლიო ჩემპიონების წინააღმდეგ ბრძოლა. მას ქადილის ძალაც შესწევდა — დამარცხებული ჰყავს ზოგიერთი მათგანი, ფიშერთან კი „დონ მიგელი" ვერაფერს აწყობდა: 9 პარტიიდან მხოლოდ ერთში გაიმარჯვა, ოთხჯერ კი დამარცხდა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, როცა ბობი დაიბადა, ნაიდორფი 33 წლისა იყო!

თუ ვინმე იყო უიღბლო ფიშერის წინააღმდეგ, ეს, პირველ რიგში მარკ ტაიმანოვზე ითქმის. მათი რვა პარტიიდან ფიშერის სასარგებლოდ დამთავრდა შვიდი, ერთშიც მეტოქენი დაზავდნენ. ამაში შედის ფიშერ-ტაიმანოვის მატჩი 1971 წელს პრეტენდენტების დონეზე, სადაც ფიშერმა მოიგო ექვსივე პარტია, რის მერე ტაიმანოვის საჭადრაკო კარიერა სამუდამოდ დასრულდა.

იუგოსლაველ დიდოსტატ ბორა ივკოვს შეუძლია იამაყოს, რომ ბობისთან საპატიო შედეგი აქვს: 10 შეხვედრაში ამერიკელმა მოიგო 3 და წააგო 2 პარტია.

ამ მხრივ გული არ უნდა წყდებოდეს ჩეხოსლოვაკიელ ვლასტიმირ ჰორტსაც, რომელიც ახლა გერმანიის სახელით გამოდის. იგი ფიშერთან ერთხელ დამარცხდა, სამი შეხვედრა კი ყაიმით დასრულდა.

ბრაზილიელ ენრიკე მეკინგს ბობი სულ ორჯერ ეთამაშა — ერთხელ მოუგო და ერთხელ ქულა გაიყვეს. გერმანელ რობერტ ჰიუბნერთან და ლევ პოლუგაევსკისთან თითო-თითო პარტიებში ყაიმები აქვს, ორი ყაიმი — დავით ბრონშტეინთან, მოგება და ყაიმი — ლეონიდ შტეინთან. ისლანდიელ ფრიდრიკ ოლაფსონთან 7 მოგება, 2 წაგება და 3 ყაიმი. გერმანელ ვოლფგანგ ულმანს მოუგო 3 და წააგო ერთი პარტია.

როცა ახალგაზრდა ფიშერი პრეტენდენტებთან ბრძოლაში ებმებოდა, ვიქტორ კორჩნოი მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკე იყო. მოხდა ისე, რომ პრეტენდენტთა მატჩებში მათი გზები გაიყარა — ერთმანეთს ვერ შეხვდნენ, სხვადასხვა შეჯიბრებაში კი 8 პარტია ითამაშეს და ორ-ორი პარტია მოიგეს. შედეგი, რა თქმა უნდა, კორჩნოისთვის საპატიოა. იგი გულახდილად აღიარებდა, რომ ფიშერთან პირადი მატჩის შემთხვევაში, ეტყობა, ორი ქულის განსხვავებით წააგებდა.

მაგრამ არის ერთი დიდოსტატი, რომელთანაც ფიშერსაც ძალიან უჭირდა. ეს გახლავთ ოდესელი (ახლა მოსკოველი) ეფიმ გელერი. იგი ყველაზე უკეთ უღებდა ალღოს ფიშერის სადებიუტო რეპერტუარს, 60-იანი წლების დასაწყისში კი სჯობნიდა კიდეც მას (ბობი მაშინ ახალგაზრდა იყო). შემდეგში, როცა ფიშერი მომძლავრდა, რევანშს არ დაუხანებია, თუმცა ანგარიშის გამოსწორება საბოლოოდ მაინც ვერ მოასწრო — 10 პარტიაში გელერს 5 მოგება აქვს, ფიშერს — 3.

18 პარტია ითამაშა ფიშერმა უნგრელ პალ ბენკოსთან, რომელიც შემდეგ აშშ-ში გადასახლდა. 1959 და 1962 წლებში ბენკო მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ტურნირებში მონაწილეობდა. საერთო უპირატესობა ფიშერის მხარეზეა — მოიგო 8 პარტია, წააგო — 3.

ერთი სიტყვით, ფიშერი წარმატებით თამაშობდა როგორც მსოფლიო ჩემპიონებთან, ისე პრეტენდენტებთანაც. სტატისტიკის ენაზე მისი შედეგები პრეტენდენტების წინააღმდეგ ასეთია: 70 მოგება, 28 წაგება, 65 ყაიმი. ფრიად შთამბეჭდავი შედეგია მსოფლიოს 19 საუკეთესო დიდოსტატთან ბრძოლაში!

გივი გამრეკელი

(გაგრძელება იქნება)

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380008, [illegible], 14. ტელ: 99-60-34, [illegible] INDEX დაიბეჭდა გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბაში.